სამშობლო

შაბათი 19 მარტი

წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გა[illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად[illegible] განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოეულ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 314 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 314

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუს, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამშობლო“-ზე

ქ. ქუთაისი. წელიწადი მეორე. ქ. ქუთაისი.

გაზეთი გამოვა

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნომერი 5 კ.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე. გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო“

შაბათს, 19 მარტს საღამოს 8½, საათ. წაკითხული იქნება კატო მიქელაძის მიერ

ლ ე ქ ც ი ა:

[იქ]ვს თუ არა მამაკაცს ბუნებრივი უპირატესობა დედაკაცზე და ქართველი ქალი ძველსა და ახალს საქართველოში“.

[თ]ეზისები: უმთავრესი ანატომიური, ფიზიოლოგიური და ბიოლოგიური განსხვავება [ო]რთავე სქესისა. 2) საიდან გამომდინარეობს დედაკაცის პასიურობა. 3) ზნეობ[]რივი და ინტელექტუალური ძალა დედაკაცისა. 4) ქართველი ქალი ძველად ოჯახში [და] საზოგადოებაში 5) ქართველი ქალი თანამედროვე საქართველოში 6) თანამედროვე კაპიტალიზმის დემორალიზაცია ოჯახში და საზოგადოებაში 7) საიდან მო[ვ]ვლინენ ფუტურისტები 8) „ცისფერი ყანწები“ 9) თანამედროვე ომის ზნეობრივი გავლენა კაცობრიობაზე. 10) ქართველი ქალის მიზანი და მოვალეობა.

[ბი]ლეთები გაიყიდება შაბათს, 19 მარტს დილის 10 საათიდან საღამოს 8½-საათამდე.

25 მარტს, ქუთაისის ქართულ თეატრში გაიმართება

შიოს დილა.

[შ]იო მღვიმელის იუბილეს მომწყობი კომისია აუწყებს იმ პირთ და დაწესებულე[ბე]ბს, ვისაც სურთ მონაწილეობა მიიღონ, ჩაეწერონ ქუთ. ქალაქის ქალთა ორ[კ]ლასიანი სასწავლებლის გამგესთან 24 მარტამდი, გენერლის ქუჩაზე. გამგის ნახვა შეიძლება 12—3 საათამდი.

[რ]ეპეტიცია დანიშნულია 19 მარტს, ქალაქის თეატრში, საღ. 4 საათზე. ბილეთები გაიყიდება 19 მარტიდან თეატრის კასაში.

აბრეშუმის თესლი.

[ახ]ალი შემოზიდულია საფრანგეთიდან და მიღებული თბილისის საბრეშუმო სადგურში. თესლი ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ხარისხის, [კა]რგა ცნობილი კავკასიაში და განგებ გამოგზავნილი საქართველოში გასავრცელებლად. თესლით მოვაჭრეთ ვსთხოვ: თბილისში მომმართონ [პი]რდაპირ მე (სასტუმრო ორიანტი) და თბილისის გარეთ ჩემს წარმომადგენლებს, ქუთაისში ფილიპე ნიკოლოზის ძე ჭყლიძეს, აბაშაში იოსებ გეგენავას და ბათუმში ამბაკო ჩადარეიშვილს.

[ს]აფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგ[ენე]ლი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებლობის
92 [ბ]ერ ვალიკ კოსტი[ნ]. თ.

ექიმი [ა]ბრიელ იოსები[ს ძე] ოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—11 საათ. საღ. 6—8 საათ.
2 ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ.

ექიმი ი. ჩარქვიანი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 - საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლვოვის ქუჩა,
1 ალიხანოვის სახლში. თ.

ექიმი ვალია კოკოჩაშვილი იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუად[ღ]. 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. [თ]ბილისის ქუჩა, ნიჟარაძის №
14 46, ტელეფონი № 87. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მ. ს. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სამკურნალო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მეჭეჭებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილ ათ მარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქერცლის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ 3

ელექტრო „ამპირი“ თეატრი

კვირიდან, 20 მარტიდან, ნაჩვენები იქნება, მხოლოდ მოზრდილთათვის

გერმანელების დამარცხება შამპანში.

საყურადღებო ომის სურათი.

მოსამსახურე ქალის დღიური.

ოჯახური ქრონიკიდან.

ფარული იარა.

6 ნაწილად, ოქტავ მირბოს რომანიდან.

ანონსი: პარასკევიდან, 25 მარტიდან ნაჩვენები იქნება პოლუდნევები, კინო რომანი 4 ნაწილად. მაღალ წრეთა ცხოვრებიდან. ცნობილ ფრანგ მწერლის მარსელის რომანიდან. ლიდა მურომსკის მონაწილეობით.

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი

კვირიდან, 20 მარტიდან, 1916 წ. ნაჩვენები იქნება

პატე ჟურნალი № 336. მიმდინარე ამბებიდან.

შენს გმირობას თაყვანსა ვსცემ.

ძლიერი დრამა 4 ნაწ. ცნობილ რუს მსახიობთა ლისენკოსა და პანოვის მონაწ.

პრენსი და მისი ლამაზი დედოფალა.

ანონსი: პარასკევიდან, 25 მარტიდან დიდი ხანია დასჭკნენ ბაღში უკვე ხრიზანტემები. ი. ი. მოზჟუხინის მონაწილეობით

კვასი „ესპერანტო“.

ადუღებული წყლით, პურით და ხილეულობით მომზადებული, ჰაერით გაკეთებული, მარგებელი, სასიამოვნო სასმელი, იყიდება თფილისის ქუჩაზე ვლადიმერ წერეთლის სარდაფში. ერთი ლიმონათის და ნარზანის ბოთ. 7 კ., ბორჯომის ნახევარი ბოთლი 8 კ., პივის ბოთლი 10 კ., შამპანსკის ბოთლი 12 კაპ., ბორჯომის ბოთლი 15 კაპ.,

ვინც ამ ბოთლებს ადგილობრივ გახსნევინებს და მიირთმევს, ან თავის ბინაზე მიატანინებს ყველა ბოთლის ფასზე თითო კაპიკი მოემატება ფასი. კვასი შეინახეთ ცივათ, გაძლებს ათ დღეს და მეტსაც.

თუ კვასი ტკბილი და უგაზოა — შეაჩერეთ ერთ დღეს და დამაგრდება. კვასი ერთნაირი კეთდება‘ თუ უვარგისობით განსხვავება ნახოთ, მოსთხოვეთ მოსტანს პასუხი, რადგან ჩვენ იარლიკიან ბოთლებში თურმე სხვებიც ამზადებენ ნამალევათ თავის კვასს.

პატივისცემით კვასის მწარმოებელთა ამხანაგობა.

ს/ს. ი. გოკიელის შვილების ქუთაისში

ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ

მიიღეთ ცნობილი **აბრეშუმის თესლი**

ხ. ხრისტოდულიდის.

მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის.

თ. დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

განცხადება.

კვირას, 20 მარტს, ალექსანდროვის ქუჩაზე, ბოკერიას შენობაში, სათავად-აზნაურო ქალთა კომიტეტი ხსნის ომის გათავებამდე, დამშეულთა და სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების სასარგებლოთ

საჩაიე კაფეს „ძმური დახმარება“,

სადაც დაუკრავს ხიმებიანი ორკესტრი.

სტუმრებს გაუმასპინძლდებიან ქუთაისის საზოგად. ცნობილი ასულნი

ექიმი მულინი. ყურის, ცხვირის და ყურების ლეჩულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას კარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.
10

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე,
11 სახლი № 2. თ.

ბეზია მ. მ. კოხრეიძე ურის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, თევდორაძის სახლი, ფიღიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

პეტროგრადი. 16 მარტი. ოფიციალური. რუსეთ-გერმანიის ბრძოლის პირი. დვინსკის რაიონის ბრძოლის პირით შეტაკებანი კვლავ სწარმოებენ, დვინსკის რაიონის სამხრეთით ზოგან არტილერიის ძლიერი სროლა სწარმოებს. ნაროჩის ტბის დასავლეთით მდებარე რაიონში მოპირდაპირე განვდევნეთ. სოფ. მოკრიცას სამხრეთით მდებარე ტყის სამხრეთ ნაწილიდან მოტანილი კონტრ-იერიში სროლით მოვიგერიეთ. ოგინის არხის რაიონში ზოგ ადგილას ძლიერი სროლაა სოფ. სომინოსთან ჩვენმა რაზმებმა გადალახეს მავთულიანი ღობეები და მოპირდაპირის მოდარაჯეთ თხრილები წაართვეს. გერმანელები არხის იქით გაიქცნენ. მოპირდაპირის მფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს სად. პოლიცეს და ლუნინეცის რაიონებში. შუა სტრიპას ხაზით მოვიგერიეთ მოპირდაპირე, რომელიც ჩვენ თხრილებს უახლოვდებოდა.

მთელი ბრძოლის პირით ყინული და თოვლი დნება. ჰობიან და ტბიან ადგილებს წყალი მოედო. მდინარეებზე ყინული არა მარტო სამხრეთ რაიონებისა, არა, მედ ჩრდილოეთ რაიონებშიაც კი გათხელდა და წყალით იფარება. სქელი თოვლი დნება და გზები აატალახიანა, რაიც მეტად აძნელებს ჯარის და არტილერიის მოძრაობას.

17 მარტი რიგის საზზე გერმანელები ჩვენს სადარაჯოს არტილერიიდან უშენდენ. იაკობშტადტის ნაწილში მტერი ძლიერ უშენდა სოფ. ეპუნკს. მოპირდაპირემ შემოგვიტია აგრეთვე ავგუსტინჰოლფის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მაგრამ ჩვენ მედგარი ბრძოლით უკუ ვაგდეთ. მოიერიშე მტერი, რომელიც მდინარე ოლდევოიცის ხაზზე წინ წამოსვლას ლამობდა, მაგრამ უკუ ვაქციეთ. დვინსკთან ჩვეულებრივი ბრძოლაა. დვინსკის ჩრდილოეთით გაცხოველებული საარტილერიო და თოფის სროლაა. ვიდვასუანთან წინ მომწევი მტერი შევაჩერეთ. ტბა ნაროჩის დასავლეთით მტერი გავფანტეთ. პრიპეტის ჩრდილოეთით და გალიციაში ჩვენი მზვერავები მარჯვეთ მოქმედებენ ტრემვალის რაიონში თოფით მტრის ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ. ორი მფრინავი კაპიტანი და ლეიტენანტი ტყვეთ წამოვიყვანეთ მთელი ფრონტი ატალახებულია რადგან თოვლი თან და თან დნება.

კავკასიის ასპარეზი.

ზღვის პირის რაიონში ჩვენმა ჯარმა მდ. ოლანე დერეს ნაპირით მაღლობები დაიპყრეს. 14 მარტს ღამით ოსმალების გაშმაგებული იერიშები მოიგერიეს და მოპირდაპირეს დიდი ზარალი მიაყენეს; ოსმალებმა დაიხიეს, ტყვები და ერთი ზარბაზნი ხელთ ვიგდეთ. ერძინჯანის მიმართულებით აგრეთვე ტყვეები ჩავიგდეთ ხელში.

ზღვის რაიონში დავატყვევეთ 11 ოფიცერი, და 400 ასკერი. ეს ჯარი წინათ მონაწილეობას ღებულობდა გალიპოლისის ბრძოლაში. და მეთაურობდენ გერმანელი ოფიცრები. მუშის რაიონში ჩვენ მონასტირი სურბაკრეპეტი დავიკავეთ.

— —

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე

მსოფლიო ომი.

(დ ღ ი უ რ ი)

მდგომარეობა ოდნავ შეიცვალა: ბრძოლის ინიციატივა ისევ ყველგან გერმანელების ხელში გადავიდა.

კავკასიისა და ოსმალეთ-სპარსეთის ფრონტზე შავი ზღვის პირად მდ. ორას მარცხენა ნაპირის მაღლობების დაკავების შემდეგ რუსეთის ჯარის წინსვლა შეჩერდა, ვინაიდან ოსმალებმა მთელი თავისი ძალღონით შემოუტიეს თუმცა რუსეთის ჯარს უკან ვერ დაახევინეს, მაგრამ ის კი შესძლეს, რომ მისი ძლევა მოსილი მსვლელობა შეაჩერეს. სჩანს ოსმალეთს ძალღონე კიდევ შესწევს, რომ ტრაპიზონის დაცვის იმედი ჰქონდეს.

რუსეთსა და ავსტრია-გერმანიის ასპარეზზე დაწყებული ბრძოლა საერთო მდგომარეობას ოდნავ სცვლის: გერმანელები თუ დღემდე აქ უფრო პასიურ როლში გამოდიოდენ, ახლა ისინი ამ ფრონტზეაც დიდ ენერგიას იჩენენ და უნდა მოველოდეთ, რომ ისინი ამ ენერგიას ყოველ დღიურათ გაათრკეცებენ ასე, რომ გეომეტრიული პროგრესიით ივლიან ამას რა თქმა უნდა ვერდენთან დაწყებულ ბრძოლის დამთავრება დიდათ ხელს შეუწყობს; ვერდენთან ბრძოლა კი ამ დღეებში ავათ თუ კარგათ უნდა დასრულდეს: გერმანიას არ შეუძლია ვერდენთან დიდხანს შეჩერდეს, მაშინ როდესაც უფრო საყურადღებო და საჩქარო საქმე აღმოსავლეთის ფრონტზე აქვს. ეს არის რუსეთთან ბრძოლა საერთოთ და კერძოთ დვინის ფრონტზე დაწყებული შეტევა. აქ ახლა ამინდის და გაზაფხულის გამო ჯარების მოძრაობისთვის ახალი პირობები დადგა: მდინარეებსა და აუარებელ ტბებსა და ჭაობებში, რომლებითაც ეს მხარე საოცრათ მდიდარია, ყინვა გალხვა, ხმელეთზე კიდევ დიდი თოვლი დნება, აქედან სწრაფათ ივსება წყლის კალაპოტები და ნაპირებიდან გამშრალზე გადადის: იწყება დიდი წყალდიდობა და ასი — ორასი ვერსის სივრცეზე გაუვალი „საფლობები" და ჭაობები ჩნდება. ამ პირობებში ის შესძლებს საჭირო პუნქტში ჯარების გადაყვანას, ვისაც ამისთვის შესაფერი სიმაგრე—საშუალება წინდაწინვე მომზადებული აქვს. როგორც ვიცით, ამ მხრით ორივე მხარე ემზადებოდა ამ ზამთარში, მაგრამ რომელმა შესძლო მიზნის მიღწევა და შესაფერი ზომების მიღება, ამას ბრძოლის მსვლელობა ამ დღეებში დაგვანახვებს. თუ ერთი მხრით გერმანელების მხრიდან ბრძოლის პირის გამაგრების აწერილობას (რაც ,,სამშობლოს'' ერთ-ერთ ნუმერში გვქონდა) მოვიგონებთ, ხოლო მეორე მხრით დვინის ფრონტიდან ჩამოსულ ჯარის კაცების ნალაპარაკევს მხედველობაში მივიღებთ, მაშინ ჩვენთვის ყოველივე აშკარა გახდება და მომავალიც ნათლათ დაგვეხატება ამასთან გერმანელების მუქარაც არ უნდა გვავიწყდებოდეს: გაზაფხულზე, როგორც კი ყინვა გალღვება და წყლები ადიდდება, დვინის ფრონტზე შეტევას დავიწყებთ და მოპირდაპირეს ნიაღვარს გავატანთო. როგორც დღევანდელი დეპეშიდან სჩანს, ისინი თავის მუქარის შესრულებას უკვე შეუდგენ: რიგის რაიონში წინა სიმაგრეების წინააღმდეგ გრიგალისებური ცეცხლი დაანთეს; რა შედეგს მიაღწიეს აქ, ამას არ გვატყობინებენ. იაკობშტადტის რაიონში, სადაც რუსეთის ჯარმა შეტევა დაიწყო და რამდენიმეთ წინ წავიდა, გერმანელების რამდენიმე ხაზი გაარღვია, ახლა გერმანელებმა დაიწყეს შემოტევა: იერიშებით წამოვიდენ და მოიერიშე ნა ერთმა ნაწილმა მდ. ოლდევოიცა გადალახა და გაღმა ნაპირზე გავიდა საიდანაც რუსეთის ჯართან დიდი ბრძოლის შემდეგ, უკანვე გამობრუნდენ და მდ აქეთა ნაპირზე დამყარდენ. დვინსკთან და ალაგ-ალაგ დვინსკის სამხრეთ რაიონში გერმანელებმა საარტილერიო ბრძოლა გააჩაღეს. ზოგჯერ გაცხარებული თოფის სროლაც არის; აქ ამასაც არ დაჯერდენ და ვიძის სამხრეთით იერიში სცადეს, მაგრამ რუსის ჯარმა ისინი საარტილერიო ცეცხლით შეაჩერა. ტბა ნაროჩის დასავლეთით, სადაც რუსეთის ჯარმა პირველ შეტევით გერმანელების პოზიციების პირველი რიგი აიღო, გერმანელები ახალ პოზიციებზე მაგრდებიან და ახალ სანგრებს იმზადებენ, რასაც რუსეთის ჯარი ყუმბარების დაშენით ხელს უშლის. დ. მოკრიცის სამხრეთით ტყიდან იერიშით წამოვიდენ, რომ ჩრდილო ნაწილიც დაიკავონ, მაგრამ რუსებმა უკუაქციეს. დაბოლოს დეპეშიდან სჩანს რომ ბრძოლა ახალ რაიონშიაც გადაიტანეს, სახელდობრ ოგინის არხის რაიონში, სადაც ძლიერი საარტილერიო ცეცხლი დაანთეს. ავსტრიის ფრონტზე: სტრიპაზე და სხვაგან ბრძოლა თითქმის შეწყდა; მხოლოდ პრიპიატის სამხრეთით და გალიციაში თოფის სროლას და დაზვერვას აწარმოებდა ორივე მხარე.

სხვა ფრონტზე. სიწყნარეა.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ბულგარეთი და სერბია

ბულგარეთის მთავრობამ უკვე გაატარა თავისი ადმინისტრატიული გეგმა დაპყრობილ მაკედონიისა და ძველ სერბიაში; სულ მთელი ტერიტორია 15 დეპარტამენტათ არის დაყოფილი მთავარ ქალაქებით: მონასტერი, შტიბი, კუმანოვო, ოხრიდა, სკოპლე, ტეტოვო, კავადარი, ნიში, პოჟარევაცი, კუპრია, კრუშევაცი, პიროტი, ვრანია, ნეგოტინი, ზაიჩარი და პრიშტინა. ამ ნაირად ძმამ „თვისი ღვიძლი ძმა" უკვე შთანთქა.

გენერალი მაკენზენი სამხედრო თათბირზე მიიწვიეს.

პარიზიდან იუწყებიან, რომ ცნობილი მაკენზენი ავსტრია გერმანიის სამხედრო საბჭოს თათბირზე დაესწრება, რომ რუმინიასთან დამოკიდებულების საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს

ოსმალეთში.

ენვერ-ფაშამ ოსმალეთის პარლამენტის ფრაქციების ლიდერები სათათბიროთ მიიწვია და წინადადება მისცა, რომ მთავრობის სამხედრო-საფინანსო გეგმას მხარი დაუჭირონ. ენვერ-ფაშამ განაცხადა, რომ ომის განგრძობა კიდევ დიდხანს მოგვიხდება, რომ ნაციონალური მიზნები განხორციელებული იქნას. ამისთვის საჭირო ფული, რაც მთავრობამ, პარლამენტის თანხმობით, სახელმწიფოში უნდა გამონახოს სტამბოლში ხმა იძრის, რომ ოსმალეთის საპარლამენტო ოპოზიცია ხმას სამხედრო ბიუჯეტის წინააღმდეგ მის ცემსო.

შ ვ ე ც ი ა.

ნეიტრალურ სახელმწიფოთაგან ამ ბოლო დროს თავი წამოყო შვეციამ, სადაც რუსეთის წინააღმდეგ აგიტაციას ეწევიან და ბალტიის ზღვის ზოგი კუნძულის რუსეთისგან დაცლას მოითხოვენ. სტოკჰოლმიდან პეტროგრადში ახლად მოსულმა მგზავრმა ილაპარაკა თურმე, რომ შვეციაში ახლა რუსეთისა და მოკავშირეების წინააღმდეგ აგიტაცია ძლიერდებაო. ახლა იქ მარტო გერმანიის ლესნე კი არ მოქმედებს, არამედ სხვა მთავარი აგენტიც აგიტაციას ეწევაო.

პანგერმანისტების აგიტაცია.

„ბერლინერ ტაგებლატის" ცნობით, გერმანიაში პანგერმანისტები გაცხარებულ საიდუმლო აგიტაციას ეწევიან, რომ წყალქვეშ შეუწყალებელი ომის გამართვის სასარგებლოთ დემონსტრაციები მოაწყონ. ეს დემონსტრაციები ახლანდელი მთავრობის საზღვაო ტაქტიკის საწინააღმდეგო დაფარული პროტესტის გამოხატულება იქნება.

პანგერმანისტები ახლა ამ შინაარსის მოწოდებებს ყველგან ავრცელებენ, ამასთან ერთგვარ პეტიციებზე ხელს აწერინებენ ყველას; ასეთ პეტიციებს ხელმოსაწერათ უგზავნიან, მაგალითად, მასწავლებელთა კოლეგიებს; აძლევენ რესტორანებში „კელნერებს" (ლაქია ქალებს!), რომლებმაც მუშტრებს პეტიციებზე ხელი უნდა მოაწერინონ და სხვა. ამ აგიტაციაში, სხვათა შორის, ცნობილი ისტორიკოსი შევერიც მხურვალე მონაწილეობას იღებს.

როგორც უკანასკნელ ცნობებიდან ვიცით, აგიტაციამ უდემონსტრაციოთაც მიაღწია მიზანს: გერმანიის საზღვაო სამხედრო—მთავრობამ ამ დღეებში მტკიცეთ გადასწყვიტა, რომ ინგლისის სრული ბლოკადა მოაწყოს. ამას იგი მხოლოდ წყალქვეშა ნავებით შესძლებს და მართლაც ასედაც აცხადებსო.

ქ რ ო ნ ი კ ა

რ უ ს ე თ ი.

„მომრიგებელი კამერა"

სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების ყრილობამ ამას წინად დაადგინა, რომ მუშებსა და ალებს შორის ამტყდარ უთანხმოების მოსაწესრიგებლათ დაუყოვნებლივ ეგრეთ წოდებული „მომრიგებელი კამერები" დაარსდესო.

ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროსთან მართლაც საგანგებო სათათბიროს კომისია დაარსდა, რომელმაც ამ კამერების დაარსებაზე უნდა იზრუნოს. 12 მარტის სხდომაზე ხსენებულ კომისიაში ის აზრი გამოითქვა, რომ მუშების ეკონომიური ორგანიზაციები არ მოესპოთ ომის დასაწყისშივე და დღემდე დარჩენილიყო ახლა ეს საქმე ასე არ გაგვიჭირდებოდაო.

სამხედრო-სამრეწველო ცენტრალური კომიტეტის პროექტი, რომლის თანახმათ მომრიგებელ კამერებში მუშების წარმომადგენელთა თანასწორი რიცხვი უნდა იღებდეს მონაწილეობას, ფაბრიკანტებისა და მექარხნეების საზოგადოების წარმომადგენლებს არ მოეწონათ და პროექტის წინააღმდეგ ამხედრდენ. მათი აზრით, ამ პროექტის განხორციელება არ შეიძლება, ვინაიდგ მუშების პროფესიონალური კავშირები ნორმალურ კალაპოტში არ ჩადგებიან კომისიის უმრავლესობამ მოიწონა ეს აზრი და კომიტეტის პროექტი უარჰყო. სამაგიეროთ დაადგინა, რომ შექმნან კომიტეტი, რომელიც მუშებსა და ალებს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებას გაარჩევს და მის მოსაწესრიგებლათ საჭირო ზომებს მიიღებს. ამ კომიტეტის დადგენილება ორივე მხრისათვის სავალდებულო უნდა იქნას. ამ კომიტეტში სამინისტროს წარმომადგენლებიც შევლენ. აქედან ცხადია ეს კომიტეტი იგივე იქნება ამ სფეროში, რაც დღევანდელი შინაგან საქმეთა სამინისტროს ... თათბირის თავმჯდომარემ განაცხადა ... ეს ორივე აზრი ... ველათ წარედგინება ... წველობის სამინისტროს. ხოლო ... მხრით კონოვალოვმა თავდაცვის სა... თათბირის თავმჯდომარეს, პოლივ... წერილით მიმართა და სთხოვა, რომ ... მერების საკითხი თვითონ თათბირმა ... ნიხილოს და მომრიგებელი კამერები ... შეიძლება ადრე შემოიღოსო; ვინაი... დღევანდელი საბედისწერო მომენტი ... გვიკარნახებსო.

მოსკოვის ყრილობა.

მოსკოვის გაზეთების გადმოცემ... ერობებისა და ქალაქების კავშირთა ... ლობა თავის ინტენსიურსა და ნაყო... მუშაობას უკვე ათავებს. ყრილობ... მთავარი ყურადღება დღევანდელი რ... თის ეკონომიურად დაცემასა და დან... ვაზე იყო მიპყრობილი. საერთო ... მიურ რეზოლუციაში ხაზგასმით ... შნულია, რომ სასურსათო საკით... მხოლოდ ნაწილია იმ საერთო ხალ... საკითხისა, რომლის თანახმათაც საჭ... წარმოების ყველა პროცესი საერთო ... მასთან შეფარდებული ორგანიზაცი... მოეწყოს ასეთი ფართო ორგანიზ... შექმნა კი არ ძალუძს ცალ-ცალკე ... მთავრობას და არც „საზოგადოებას", შასადამე, აუცილებლათ საჭიროა ... სახელმწიფოებრივი ორგანოების ... სისტემა, რომელიც ქვეყნის ყველ... ცხალ მომქმედ ძალას გააერთიანებს.

საყურადღებოა, რომ ყრილობამ ... ჭართა კლასის პრესტიჟის აღმდგენ... რეზოლუცია მიიღო, რომლითაც ... რებულია, რომ ყველა ვაჭარი ბო... სული „სპეკულიანტი" არ არის! შე... ამისა ქალაქების კავშირის ყრილობამ ... ზოგადო პოლიტიკური რეზოლუცია ... მეორედ გადასინჯა და ბევრი ადგილი ... ასწორ-შეაკეთა, უფრო მეტი სიცხად... რადიკალობა მისცა.

ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი

ქუთაისის საოლქო სასამართლოს ... მჯდომარე ბ-ნი ფეოდოროვი დან... უმაღლეს სასანიტარო. და საევა... ნაწილის უფროსის პრინცის, ოლდენბ... გის თანაშემწეთ. ამასთანავე ბ-ნი ფეო... როვი დარჩება ქუთაისის საოლქო ... მართლოს თავმჯდომარის თანამდე...

სამი ჟურნალი.

(შემდეგი იხ. „სამშობლო" № 313.)

1) „ხხივი"—გაზეთ „შრომის" თანამშრომელთა გამოცემა.

V.

ქუთაისში არსებობდა (და ალბად ახლაც არსებობს) ერთი ჯგუფი, რომელსაც 1913—1914 წლ. თავისი საკუთარი გაზეთიც კი ჰქონდა, სახელად ,,შრომა''. ეს გაზეთი ჯერ ყოველკვირეული იყო, იმდენი ხელისმომწერელიც ჰყავდა, რომ ღარიბი რედაქცია და მისი თავგამოდებულნი მუშაკნი რის წვალებით გამოდიოდენ, მაგრამ როცა გაზეთი ,,შრომა'' ყოველ დღიურად გადააკეთეს, ხარჯებს ველარ გაუძლეს და თუმცა ყველა თითქმის უსასყიდლოდა შრომობდა და დღე და ღამეს გაზეთს თავს დასტრიალებდენ, იძულებულნი გახდენ გაზეთი დაეკეტათ.

მე არ შევეხები ამ ჯგუფის პოლიტიკურ რწმენას, ეს მათი, ასე ვსთქვათ, საშინაო საქმეა, მათი განსაკუთრებული გულისთქმაა, რომლის განხორციელებითაც,—ყოველ შემთხვევაში, ქართველი მშრომელი ხალხის გამოფხიზლებისა და თავის სამშობლო მხარის აყვავება-გაცოცხლებას ჰფიქრობდენ.

ყოველთვის, როდესაც კი ჩვენებურ ჯგუფებზე მიხდება ხოლმე ფიქრი,—მე, როგორც ქართველ კაცს, როგორც შვილს პატარა ერისას, როგორც წევრს პატარა და არათავის ბატონ-პატრონ საზოგადოებისას, როგორც პიროვნებას, რომელსაც ჰსურს სიცოცხლე და ბედნიერება, როგორც თავისთვის, ისე ყველა თავისიანებისა და მთელის ქვეყნისთვის—ყოველთვის მაგონდება ხოლმე ის ძველი და ყველასაგან ცნობილი თქმულება, რომელიც მოგვითხრობს შემდეგს:

,,ერთს მოხუცებულ კაცს ჰყავდა ცხრა შვილი. სიკვდილის დღეს დაიბარა ყველანი, ცხრა წკეპლისგან შეკრული კონა მისცა თითოეულს მათგანს და სთხოვა: ეს ცხრა წკეპლა ერთად გადასტეხეთო. ვერც ერთმა მათგანმა კონა ვერ გადატეხა. მერე დაურიგა სათითაო წკეპლა და, რასაკვირველია, თითო ღერი წკეპლის გატეხა ადარავის გასჭირებია.

როცა გაკვირვებული შვილები შეეკითხენ მას: რას ნიშნავს ასეთი ჩვენი გამოცდაო, მომაკვდავმა მამამ უპასუხა.

— შვილებო, თუ ყველანი ერთად იქნებით და შეერთებულის ძალით გაუმკლავდებით თქვენის ოჯახისა და ქვეყნის მტერს, მტერი ვერაფერს დაგაკლებთ, ხოლო თუ წაიჩხუბებით, გაიყრებით, ერთი ერთმანეთს გადაეკიდებით, მტერიც დაგჯაბნით, დაგიბრიყვებთ და სათითაოდ ყველას კისერს მოგიგრეხავთო''...

აზრი ამ არაკისა ყველასათვის ცხადია. დაჩაგრული ერის, დაჩაგრული ხალხის თითოეული ჯგუფი, თითოეული ოჯახი, თითოეული პიროვნებაც კი უნდა სცდილობდეს საერთო მტრის საერთოდ გამკლავებას, მაგრამ როგორც რუსები იტყვიან ხოლმე ,,скоро сказки сказываются, но не скоро дѣла дѣлаются'' (ე. ი. ზღაპრის თქმა ადვილია. მაგრამ საქმის გაკეთება კი ასე ადვილი არ გახლავთ) ყოველივე კეთილის სურვილის ასრულება, ყოველივე კარგი აზრის განხორციელება მარტო ადამიანის გულისთქმაზე არ არის დამოკიდებული.

პიროვნება, საზოგადოება, ერი, ქვეყანა და ქვეყნის საქმე ნაყოფია ერთგვარ ისტორიისა, ერთგვარ პოლიტიკურ ეკონომიურ პირობებისა, რომელი პირობებიც თავისებურ ელფერსა სდებენ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ჰყოფს მას ნ წილნაწილად, ჯგუფებად, კლასებად ხშირად ერთი ჯგუფისა თუ კლასის ინტერესი ძირიანად ეწინააღმდეგება მეორე ჯგუფსა, თუ კლასის ინტერესებს, იმართება მათ შორის სასტიკი, სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა და გამარჯვებული ხდება დაჯაბნულ ჯგუფთა ბატონიც, პატრონიც სჯულმდებელიც, მაცხოვრებელიც, მაცოცხლებელიცა და მომკვლელიც.

ამ გვარად, ერთი რომელიმე კლასი, რომელიმე ნაწილი ნთქავს, სპობს დანარჩენთა უფლება-უპირატესობას, ერთი რომელიმე კლასი ხდება ხოლმე დირიჟორად დანარჩენებისა და ეს დანარჩენებიც იძულებულნი არიან ისე დაუკრან საკრავნი თავის ყოფნისა, როგორც ეს დირიჟორი უბრძანებს...

კარგია თუ ავი ასეთი ყოფნა დამონებულთა—ამას გაბატონებულნი აღარ კითხულობენ. ანუ უკედ რომ ვსთქვათ, ასეთი საკითხი მათთვის აღარ არსებობს ძალმომრეობა, ბატონობა, სხვის ზურგზე თამაში, სხვის სულსა და გულში ხელის ფათური, სიმდიდრე და ფუფუნება—ისეთ ნაირად აგულქვავებს, აბრმავებს და აყრუებს გაბატონებულთ, რომ არამც თუ არა გრძნობენ თავისს სიგლახესა და უსამართლობას, არამედ ასე ჰგონიათ მათი ძალა და ძლიერება ნაბრძანებია თვით ღვთისაგან, თვით ბუნებისაგან, თვით განგებისაგან, და ვინც კი გაბედავს მათ ხელის ხლებას, იგი სიკვდილით უნდა დაისაჯოს, ვინაიდგან იგი მგმობელია თვით ღმერთისა, თვით შემოქმედისაო. და დამონებულნიც თანდათან დაბლა-დაბლა ხრიან თავს, იკარგებიან წელში, იღუნებიან მუხლებში, ჰკარგავენ თავანკარ აზრსა და ფიქრს, ძაბუნდებიან, კნინდებიან და ბოლოს იქცევიან ხოლმე მონებად, საზიზღარ და ადამიანის ღირსების დამამცირებელ მონებად

გადის დრო, იცვლება ძალთა განწყობილება, ბრძანებულნი იცვლიან, დამორჩილებულნი ბატონდებიან და კვლავ იწყება ბრძოლა თავიდან, კვლავ მეფდება ძალა, მუშტი, მათრახი, საჩხობელა. რისგ ბობისთვის ბრძოლის დროს ხან ... ხოლმე ქვეშ, ხან მეორე, ხან ერთი გვანაგებს და სჯულმდებლობას ქვეყანას, ხან მეორე და ასე მიმდინარეობს დაწყებით დაბადებიდან ცხოვრება კაცობრიობისა, ხალხისა, ერისა!

როდის მოეღება ბოლო ასეთს გაწამაწიას, როდის დამყარდება „კაცთა შორის მშვიდობა და სათნოება", როდის შესდგება მთელი კაცობრიობა აღთქმულ ძმობა, ერთობისა და თავისუფლების გზაზე, არავინ იცის. ერთი კი ავალ საჩინოა და ყველა მეცნიერებს გამოხატვებულია ის გარემოება, რომ უხეშს, ცხოველურ, ველურს და პირველ ყოფილს ძალ-მომრეობას ნელ ნელა ბოლო ელება და განათლებას, ათას გვარ გამოგონებას, ცოდნისა, სწავლისა, გამოცდილებისა და დაკვირვებას —ერთი სიტყვით ცივილიზაციას— ხალხში შემოაქვს მეტი ... მეტი გათლილობა და, თუ შეიძლება ასე ითქვას მეტი კეთილშობილება.

ბრძოლა პოლიტიკურ ეკონომიურ დაგზე ჰქმნის ახალსა და ახალს პოლიტიკურ პარტიებს ფართო პროგრამით, ... რავლესობისათვის ცხოველ მყოფელ ... ლვრებით. აი ეს ფხიზელი პოლიტი... პარტიებია რომ იბრძვიან, მოითხოვე... ხშირად ჰქმნიან კიდეც ხოლმე ... ცხოვრებას მეტს სამართლიანობას ... მყარებულს. ასეთმა პარტიებმა, ... ჯგუფებმა, ასეთმა მათმა მოძღვრებ... გვიყვანა დღევანდელ დღემდე და ... ვლის: როგორ უნდა მოვიქცეთ ხ... რომ არამც თუ დავკარგოთ რაც ... შეგვიძენია პირიქით ზედმეტი ... ვიპოვოთ, ვინაიდან დღევანდელი ... ისეთივე შავბნელი იქნება შთამომავ... ბისათვის, როგორი შავბნელიც იყო ... შინდელი დღე ჩვენის წინაპრებისათვ...

... რუსეთშიაც, რომლის ნაწილად... ე ასი წლით გადაიქცა საქართველო, ... ნაირი პოლიტიკური პარტია არსებ... და ... ჯგუფები ჩვენშიაც ... დენ. ... ბა რუსეთში ... ამა თუ იმ ჯგუ... საქართველოში ... ზარეულად ... ტანილი პროგრამა ჩვენი ხალხის სულ... კვეთებასა და ეკონომიურ მდგომარეობ... ჩვენ ალვიარებთ მხოლოდ ფაქტს და ... თან ერთად ისიც, რომ „შრომის" ჯგ... ფიც ალმსარებელია რუსეთის ერთ... მოწინავე ჯგუფის მოძღვრებისა და ... სადამე, მოკეთეა ხალხისა და ერისა.

აი ამ ჯგუფმა გამოსცა ჟურნ... „სხივი".

შემდეგი იქნება

...ულებლად. ფილდორობი ახალი ...ნების ასრულების თანახმად იც ...ებს რუსეთში, ხოლო მუდმივი თა...ების ასრულების გამო, ხანდახან ...ში ქუთაისში.

...ჯარის-კაცთა საყურადღებოდ. კავკასიის ...ლქის უფროსის განკარგულე... მეოფი გენერალ მაიორი პოდგურ... დაინიშნა იმ კომისიის თავმჯდომარედ, ...მელმაც უნდა შეამოწმოს, სამართლია... იქნენ თუ არა სამხედრო სამსახურში ...ული სათადარიგო ჯარის-კაცნი, ...მეჭრენი და ახალგაზდანი. ამიტომ ...ვარი განცხადება უნდა გაიგზავ... ხსენებულ კომისიის თავმჯდომა... სახელზე. კომისიის მოქმედების რაი... არის თბილისისა და ქუთაისის გუ...ნია.

პ. დ. ხ.

...ილისის ქალაქის გამგეობამ ავსტრო...ენელთა მიწათ მფლობელობის ლი...აციის გამოცხადების გამო გადას... გერმანელთა მახლობელ კოლო...ის შესყიდვა.

✦ მოულოდნელი მიზეზების გამო, ...ს უნივერსიტეტის საზოგადოების წევრთა ...ა გადაიდვა, და მოხდება იგი კვირას, ... მარტს, იმავე თეატრ რადიუმში, დღის ... საათზე.

✦ დღეს, 19 მარტს, ქალაქის თეატრ... საღამოს 4 საათზე შათ მღვიმელის მო... კომისია გამართავს წინასწარ რე...ტეციას.

...ის სადღესასწაულო დილა გაიმარ...ება 25 მარტს. იმ პირთ, ვისაც სურთ ...ონაწილეობის მიღება შათს სადღესასწა... დილაზე, ჩაწერა შეუძლიათ გენე...ლის ქუჩაზე, ქალთა სამოქალაქო სას...ლებელში.

✦ ლექცია. დღეს, საღამოს 8 საათზე, ...ელექტრო-თეატრ „რადიუმში“ გიორგი ...ორაძე წაიკითხავს ლექციას ოსმალე...ზე.

✦ ქუთაისის გუბერნატორს გრაფ გუ...იანს ქუთაისში ამ დღეებში მოელიან. ...რი დღის წინათ გრაფი ჩამოვიდა თბი...ისს, სადაც ის წარუდგა მეფის მოადგი...ეს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს ქუთაისის ...ე გუბერნატორათ დაინიშნა კამერ ...ნკერი თ-დი, შერვაშიძე.

✦ ვლ. ალექსი მესხიშვილმა მოსკო...დან თხოვნით მიმართა ქუთაისის დრა...ტიულ საზოგადოების გამგეობას, რომ ...მავალ ზამთრის სეზონში რუსული ...სისათვის დაუთმოს თეატრი; ის ამასთა... ხელმძღვანელობას გაუწევს ქართულ ...საც.

✦ მომავალი ორშაბათიდან ქუთაისში ...იწყება კონცერტები, საოპერო დასის ...იაშვილის რეჟისორობით.

✦ კოოპერატიული საზოგ. „მომავა...ის“ გამგეობამ დაიქირავა ქალაქის ბა...ის მახლობლათ ბინა. ამ მოკლე ხანში ...ილებენ სხვადასხვა საჭირო სანოვაგეს ...სასყიდლათ.

✦ ჭიათურის შავიქვის მრეწველთა ...საბჭოს წევრები 21 მარტს მიემგზავრე...ბიან დ. ჭიათურას, სადაც გაიმართება ...მრეწველთა კრებები სხვადასხვა საკითხის ...გასარჩევათ, ამავე დღეს აკურთხებენ უმა...ღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებელთან ...აშენებულ ეკლესიას.

✦ რეალური სასწავლებლის მასწავლებ...ლის ბ-ნ სპირიდონ ბესარიონის ძის ჯორჯი...კის მეუღლემ 100 მანეთი შესწირა ქუ...თაისის ახალი თეატრის ასაშენებელი ფონ...დის სასარგებლოთ.

✦ ქუთაისის ხარჯთ ამკრეფი ინსპექ...ტორი სთხოვს ქალაქის გამგეობის წევრს, ბ-ნ მოსიძეს დაესწროს 22 მარტს ქონე...ბათა ვალდასახადების გამანაწილებელ კო...მისიის კრებას სამაზრო სამხედრო საკრე...ბულოს დარბაზში.

✦ ქალ. გამგეობის წევრათ ნამყოფმა ბ. სიმონ. ალ. ქვარიანმა ქუთაისის გუ...ბერნატორს წარუდგინა უმართებულეს ...სენატის სახელზე საჩივარი, რომელიც შეე...ხება საგუბერნიო სამოქალაქო საქმეთა ...საკრებულოს უკანონო მოქმედებას

✦ თებერვლის თვეში ქ. ფოთიდან გა...ზიდულ იქნათ რუსეთში 80,000 შავი ქვა.

✦ ფოთიდან, ანაკრიამდე 30 ვერსის ...მანძილზე ნება დართეს თევზაობისა.

✦ ხუთშაბათს, 17 თებერვალს დანი...შნული სასულიერო კონცერტი მღვდ... გ. რაიდენ ხუნდაძის ლოტბარობით სხვა... დროისთვის გადაიდვა

✦ ქ. ფოთის თვითმართველობამ და...ადგინა შემოიღოს ქვა ნახშირზე ნიხრი, რადგანაც საჭირო არის ორთქმავალისათვის.

✦ თანახმად ქუთაისის გუბერნატორის წინადადებისა, ქალაქის მოურავმა შეატყობინა, რომ ქუჩების დამრქმევ და ნომერაციის მომწესრიგებელმა კომისიამ უკვე დაასრულა თავისი მუშაობა, და ამ მოკლე ხანში წარედგინება საბჭოს გასარჩევათ.

✦ ქალაქის გამგეობამ ნება დართო მოვაჭრე დავით ქებაძეს გამოიწეროს ქ. ხარკოვიდან 50 ვაგონი მარილი.

✦ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის რწმუნებულისაგან ქალ. გამგეობამ გუშინ მიიღო 12 მარტის 1916 წ. მოსკოვში გამართულ კრების ვრცელი ანგარიში.

✦ 16 მარტს საღამოთი მდ. რიონში გადავარდა მ. ხ. ლაბაძისა და დაიხრჩო დამხრჩვალის გვამი ჯერჯერობით ვერ აღმოაჩინეს.

სოფლად.

სასულიერო მთავრობამ ვერცხლის მედლით ✠ სტანისლავის ლენტით დააჯილდოვეს სენაკის მაზრის მცხოვრები ნოქალაქევის ეკლესიის მოსამსახურე ონისიმე მარჯანის ძე ცანავა, ზედ წარწერით „ერთგულებისათვის“.

— ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო დ. ახალსენაკის მცხოვრებთ გაბრიელ ბაღდანოვს, იულონ გეგელაშვილს გიორგი შვარცს, ალექსანდრე კალანდარაშვილს, ნიკოლოზ ჯიქიას, მურზაყან გეგენავას, გრიგოლ ძიძიგურს, დავით ქვანიას, ივანე ზესაშვილს, ილიანე კიზირიას, პეტრე დგებუაძეს, თეოფანე ხოშპერიას და გიორგი მოგრნარაძეს გახსნან სასოფლო სამეურნეო საზოგადოება.

მოწყინილი ამბავი.

5 მარტს, ს. ჩხარის (ეწარის) მცხოვრებმა ბესარიონ აბულაძემ წარუდგინა რაიონის ბოქაულს შანტაჟისტებისაგან მოწერილი მუქარის ბარათი, რომლითაც თხოულობენ 300 მანეთს. აღნიშნული ფული ქაღალდში გახვეული უნდა დაედვათ წყაროსთან. 10 მარტს ბოქაულმა გაგზავნა დარაჯები და სწორეთ იმ ადგილზე დააკავეს ადგილობრივი მცხოვრები ანტონ ბუცხრიკაძე. ბუცხრიკაძე გამოუტყდა ბოქაულს, რომ ეს მოტყუებით ჩაადენინა მისმა მეზობელმა ტიტიკო ჩხეიძემ და იაკ. კახიძემ გამატანეს ეს ქაღალდი და დამაელეს ჩამომეკიდა აღნიშნულ ადგილზე და შემდეგ 10 მარტს იქიდან წამომეღო, რასაც ვნახავდი წყაროს თავზე. ბუცხრიკაძე გადასცეს ჩხარის გამომძიებელს.

„ძმური დახმარება“.

ქართველ ქალებს თავისი ძვირფასი და მეტად სიმპატიური განზრახვა სისრულეში მოჰყავთ.

კვირას, 20 მარტიდან, ალექსანდრეს ქუჩაზე ბოკერიას შენობაში იხსნება საჩაიე „ძმური დახმარება“ ქუთაისის გუბერნიიდან გაწვეულ სათადარიგო და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფ ჯარის კაცთა დასახმარებლათ. საჩაიეში იმუშავებენ ქუთაისის პატივცემულ ქართველ ოჯახების მანდილოსან-ქალიშვილები.

დიახ, განზრახვა მეტად სიმპატიურია: განსაცდელში მყოფ ჯარისკაცთ ქართველი ქალები ევლინებიან მანუგეშებლათ

როგორც გავიგეთ, ქუთაისის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას ქალთა კომიტეტისთვის თხოვნით მიუმართავს. რომ მან თავის საჩაიეს შემოსავლიდან ნაწილი გადასდევას ჩვენი თანამოძმე აჭარლებისთვის, რომელნიც ომის ქარცეცხლმა ძალზე გააუბედურა.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საქველმოქმედო საზოგადოების თხოვნას პატივცემული ქალთა კომიტეტი შეიწყნარებს, მაგრამ ეს ყოველივე დამოკიდებულია ქუთაისის საზოგადოების თანაგრძობაზე, თუ რამდენ წვლილს შეიტანს იგი ამ საჩაიეში,—აგრეთვე ქალთა კომიტეტის მიერ სიამოვნებით იქნება მიღებული ყოველივე შემოწირულობა.

მაშ, გავსწიოთ ხვალ „ძმური დახმარებისკენ“. ი. დ—ძე.

კატო მიქელაძის ლექცია

დღეს, 19 მარტს, ქუთაისის ქალაქის თეატრში ევროპაში სწავლა მიღებული ახალგაზდა კატო მიქელაძის ქალი წაიკითხავს ფრიად საყურადღებო ლექციას შემდეგ თემაზე: „აქვს თუ არა მამაკაცს ბუნებრივი უპირატესობა დედაკაცზე და ქართველი ქალი ძველსა და ახალს საქართველოში“.

განზრახული ლექციის დაწვრილებითი თეზისები დღევანდელ ჩვენ გაზეთში ცალკე იქნება გამოცხადებული. ჩვენ გვინდა მკითხველთ ორიოდე სიტყვა მოვახსენოთ ახალგაზდა მოღვაწე ქალის კატო მიქელაძის შესახებ.

კატო მიქელაძე ჯერ სრულიად ახალგაზდა ქალია, მან იურიდიული ცოდნა მიიღო ბრიუსელში, რაიც მეტად საყურადღებო და ქართველ ქალთა შორის კატო მიქელაძის ქალი სწერს აგრეთვე ლექსებს. მისი ლექსები გადათარგმნილია რუსულსა და ფრანგულს ენაზე. მისი ლექსები, ამირეჯიბის თარგმანი, მოსკოვში თავის გამოცემაში დაბეჭდა პროფ ხახანაშვილმა. მიმართულებით კატო მიქელაძის ქალი ისეთ გზაზე სდგას, რომელიც შეეფერება ჩვენი ქვეყნის რეალ ცხოვრებას.

კატო მიქელაძის ქალი მსოფლიო ომის დაწყებამდე დაბრუნდა საქართველოში და განაგრძობს ენერგიულ მუშაობას, მაგრამ, როგორც ყოველი ქართველი მოღვაწე კატო მიქელაძის ქალიც ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდის, რაიც ხელს უშლის მას სამოღვაწეო ასპარეზზე მოქმედებაში.

იმედია, ქუთაისის ქართველი საზოგადოება კატო მიქელაძის ქალის შრომას უყურადღებოთ არ დასტოვებს და დღეს ლექციაზე დასწრებით პატივსა სცემს, მის დაუღალავ შრომას და აგრეთვე საშუალებას მისცემს მას, რომ ნივთიერი გაჭირვება ცოტათი მაინც შეიმსუბუქოს

დ—

იძულებითი განმარტება.

გაზეთი „თანამედროვე აზრი“ გუშინდელ ნომერში (№ 63, 18 მარტის თარიღით) თავის მკითხველებს ასეთს ამბავს აუწყებს:

„ქუთაისში ახლად გამოცემულ „სოციალისტ“ ფუტურისტების ალმანახის „ცისფერი ყანწების“ ხელმძღვანელმა პ. იაშვილმა დუელში გამოიწვია გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორი ია ეკალაძე—ცინცაძე, ხსენებულ გაზეთში მათ შესახებ ერთ-ერთი წერილის მოთავსების გამო, ეკალაძე თანახმაა“ თ.

რაკი ეს ამბავი გახმაურდა, იძულებული ვარ განვმარტო შემდეგი.

წარსულ კვირას, დილის 11 საათზე ჩვენ რედაქციაში მოვიდა ორი პატივცემულ თავადი და გამომიცხადეს: პ. იაშვილი თქვენგან შეურაცყოფილად სთვლის თავს და დაკმაყოფილებას თხოულობსო.

მე ვუპასუხე: რადგანაც პირადად თქვენ დიდ პატივსა გცემთ და არა მსურს თქვენი გაწბილება, მე მზადა ვარ უეჭველად დაკმაყოფილება მივცე სადაც, როდესაც რა ადგილას და რა იარაღითაც ჰსურს თუ კი თქვენ მეტყვით რომ პასუხის ღირსია ისეთი პიროვნება, რომლის შესახებაც აი რასა სწერენ-მეთქი. ამ სიტყვებით გადავუშალე ერთი სხვა გაზეთი და „წავაკითხე ქუთათური ქალთა ერთი წრის წარმომადგენლის აღშფოთებული წერილი „ც. ყ.“ შესახებ ეს წერილი მათ წაკითხული არ ჰქონიათ

ამის შემდეგ თავადებმა მთხოვეს დამესახელებინა მაინც იაშვილისათვის ავტორი იმ წერილისა, რომელიც ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა „სტუდენტის ფსევდონიმით. მე კვლავ გავუმეორე პასუხის გებას მე ვკისრულობ, თუნდა ავტორმაც მოინდომოს თავის გამოჩენა-მეთქი და განმეორებით ვსთხოვე მათ გადაეწყვიტათ დაკმაყოფილების საკითხი.

ამის შემდეგ მე და იაშვილისაგან მოგზავნილი პატივცემულნი პირნი ერთმანეთს დავშორდით.

მას შემდეგ აგერ მეორე კვირა მიდის და იაშვილის მოციქულების პასუხი არ ვიცი.

ასეთი არის საქმის ნამდვილი გარემოება და დაე თვით საზოგადოებამ დასდოს მსჯავრი ამ მოვლენას.

ია ეკალაძე—ცინცაძე.

P. S. ვსთხოვ იმ გაზეთებს, რომლებიც „თანამედ. აზრი“ ამბავს გადაბეჭდავენ, ეს წერილიც გადაბეჭდონ.

ი. ე.—ც—ძე

სახელმწ. სათათბირო.

17 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს ვარუნ-სეკრეტი.

კამათობენ სახელმწიფოს კონტროლის შესახებ. ვიშნეგრადსკი. მოითხოვს სახელმწიფო კონტროლის გამოყოფას მინისტრთა საბჭოსაგან და საპასუხისმგებლო სამინისტროს დაარსებას.

სკობელევი აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით სახელმწიფოს კონტროლის შესახებ არსებითად ნაბიჯი არ გადადგმულა.

მარკოვი მეორე მოითხოვს სახელმწიფოს კონტროლის სამინისტროსაგან გამოყოფას და მისთვის ცალკე დამოუკიდებელ დაწესებულების შექმნას

ლებედევი საჭიროდ სცნობს, რომ ერობის კავშირთა კრედიტის დაწესებულებანიც სახელმწიფო კონტროლის განკარგულებაში გადავიდეს.

შინგარევი აღნიშნავს რომ სახელმწიფო კონტროლს უნდა დაექვემდებაროს აგრეთვე კერძო საკომერციო ბანკები, ეკონომიურის თვალსაზრისით.

ვიშნევსკი უერთდება შინგარევის აზრს და საფინანსო თვალსაზრისით, მართლაც, საჭიროა კერძო კომერციული ბანკები ექვემდებარებოდენ სახელმწიფო კონტროლსო.

ათი წუთით სხდომა შესწყდა. შემდეგ როძიონკო თავმჯდომარეობს. კვლავ სახელმწიფო კონტროლის საკითხს იხილავენ, რომელშიაც მონაწილეობის მიღების ნება ეძლევათ სამეურნეო კომიტეტებს შინგარევი მხარს უჭერს ლებედევის აზრს ხმის მიცემის დროს ლებედევის აზრი უარჰყვეს.

სახელმწიფო საბჭო.

გოლუბევი თავჯდომარეობს 17 მარტის სხდომა.

საბჭომ უარყო სათათბიროს მიერ შემოტანილი კანონპროექტი, რომ წვრილ კრედიტებს საფოსტო გადაგზავნის საქმეში განსაკუთრებული შეღავათი მისცემოდა და პროექტს მხარს უჭერდა ზინოვიევ და გრიმმ. წინააღმდეგი იყვნენ სტოშინსკი, გურკო და მანუხინი, რომელნიც აღნიშნავდენ, რომ ეს გამოიწვევს სახელმწიფოს ფინანსიურ დარგში საგრძნობ ზარალსაო.

შჩერბატოვი ორმოცდა ათი კაცის სახელით ლაპარაკობს, მიწად-მოქმედების შესახებ, რომ მიწად-მოქმედების მინისტრს ჰმართებს მიწათ-მოქმედება ამ ჟამათ შექმნილ განსაკუთრებულ პირობების მიხედვით მეტი ყურადღება მიაქციოსო. სასოფლო-მეურნეობა თანდათან უხერხულსა და კრიტიკულ მდგომარეობაში ვარდება, ვინაიდან მუშა ხელის მოსპობა და ახლად კიდევ ჯარში გაწვევა (1897 წ.) სრულიად უნუგეშო მდგომარეობაში აგდებს მიწად მოქმედებს. შჩერბატოვი აგრეთვე შეეხო სამუშაო საქონლის რეკვიზიციას და აღნიშნა, თუ რეკვიზიცია აუცილებელი იქნება, მაშინ ჩვენს სოფლებში მეურნეობის პრიმიტიული წესი დამუშავებისა, ახალით უნდა შეიცვალოს. აგრეთვე საჭიროა ტელეფონების მოწყობა სოფლებში და სხვა კამათის შემდეგ საბჭომ ეს პროექტი მიიღო.

„თ-დ ანდრონიკაშვილის ჟურნალი“.

მკითხველს ეხსომება, ამას წინათ ჩვენს გაზეთში ოფიციალი ცნობა იყო, რომ ქ. პეტროგრადს თ-დი ანდრონიკაშვილი რუსულ ენაზე ჟურნალს აარსებს სახელათ „გოლოს როსსიი“ (ხმა რუსეთისა), რომლის წმინდა მოვალეობაც იქნება რუსეთის სახელმწიფოებრივ სხეულის გაძლიერება ✠ გამჭიდროება. ჟურნალის პირველი ნომერი უკვე გამოვიდა. რუსეთის ოფიციალი წრეები—ბიუროკრატია, ჟურნალს დიდი სიხარულით მიჰგებებიან.

ჩვენ ვიცით, რომ რუსეთის მაღალ საზოგადოებაში უფრო ადვილია თავის გამოჩენა, მოღვაწის სახელის მოხვეჭა, ვიდრე უუფლებო, ჩამორჩენილ და ღარიბ საქართველოში.

იქ მდიდარი ბიუროკრატიული, ნახევრათ ოფიციალი, სფეროები სიამოვნებით მიიღებენ ბ-ნ ანდრონიკაშვილს. მხოლოდ ქართველ ანდრონიკაშვილის მიერ რუსულ ენაზე ისეთ ჟურნალის, გამოცემა, რომელიც მიზნათ ისახავს მრავალ ერიანი რუსეთის ხალხთა მოსახლეობის ერთად შედუღებას, რომლისთანა ჟურნალიც ჯერ თვით უკიდურესს რუს ბიუროკრატებსაც ვერ გამოუციათ, მემარჯვენე ბიუროკრატებს ისეთ სიხარულს მოჰგვრის, ისეთ იმედათ ეგულება, როგორც ჰერცენის დროს ოფიციალ მთავრობას „ჟანდარმერია“ არ ვიცით, რას მივაწეროთ ბ-ნ ანდრონიკაშვილის სამოღვაწეოთ ასეთი დევიზით გამოსვლა, ნუთუ ამ დაჩაგრულ ერის შვილმა სხვა გზა ვერაფერი მონახა, რომ რუსეთის შავრაზმელებს საბრძოლ იარაღათ არ გახდომოდა?

მაგრამ უნდა აღვიაროთ, რომ დღეს ქართველი კაცის სული, გონება და აზროვნება იმდენათ დამახინჯებულია, იმდენათ მიხდილი და გზა აბნეულია, რომ ყველაფერს სჩადის. და ეს იქნება ... დრე ქართველი კაცის სული ... და აზროვნებას განკურნება თვით შეგნება და გამორკვევა არ ეღირსება და ქართველის ტკივნულ სხეულს გამაკურნებელი მალამო არ დაედება. ირ—დი.

სხვა და სხვა ამბავი.

(პ. დ. ხ.)

რ უ ს ე თ ი.

ტამბოვი. სახელმწიფო სათათბირომ საკითხი აღძრა, გაიხსნას ტამბოვში პედაგოგიური ინსტიტუტი სამედიცინო ფაკულტეტით.

პეტროგრადი. ამ ჟამათ პარიზში მიმდინარე შეთანხმებულთა მიერ მოწვეულ კონფერენციის სხდომებზე დასასწრებლათ რუსეთიდან, სხვათა შორის, წავიდა სახელმწიფო კონტროლი პოკროვსკი.

პეტროგრადი. სახალხო განათლების კომისიამ საჭიროთ სცნო სხვა და სხვა სასწავლებლისათვის სუბსიდიის დანიშვნა, და აგრეთვე ჯამაგირების მომატება იქ მოსამსახურე პირთათვის.

უ ც ხ ო ე თ ი.

ვაიმაჩინი. (ჩინეთი) ძველი ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლებმა მონღოლეთში მთავრობას და ხალხს ჩინეთის რესპუბლიკის აღდგენა ამცნეს.

კოპენჰაგენი. 16 მარტი ბერლინიდან მოსულ ცნობათა მიხედვით გუშინ რეიხსტაგში მომხდარა დახურული სხდომა, სადაც, სხვათა შორის, უნდა განეხილათ სამხედრო საბიუჯეტო კომისიის საკითხი იმპერიის კანცლერმა ბეთმან ჰოლვეგმა ილაპარაკა წყალ-ქვეშა ომის მნიშვნელობაზე.

პედაგოგიური წერილები.

II.

წინა წერილში ჩვენ ვამბობდით, რომ მხოლოდ სკოლასა და ოჯახს ერთმანეთის დახმარებით შეუძლიათ ბავშვის აღზრდა. ცალკე კი თითოეული მათგანი ვერ მოგვცემს მთლიან ადამიანს, რადგან „შინაგანი“ კაცის განვითარებას ვერ შესძლებს სკოლა და „გარეგანისას“—ოჯახი. ეს აზრი ახალი არ არის ეს სწამდათ ბევრს მწერლებს ძველათ და ახლაც სწამსთ გამოჩენილ პედაგოგებს, რომლებიც მოითხოვენ მშობლებიდან აქტიურ მონაწილეობას აღზრდის საქმეში.

თავის ნაწერებში პიფაგორი ამბობს: „მშობლები ნამდვილი აღმზრდელები არიან თავისი ბავშვების და არ იქნება დედამიწაზე ისეთი უსამართლობა, თუ რომ მათ თავის შვილებს დააცილებთო“.

პლატონი და არისტოტელიც ამავე აზრს ატარებდენ პედაგოგიურ წერილებში. მაგრამ პლატონი, როგორც ათინელი, აღზრდის იდეალს ხედავდა სხეულის ვარჯიშობაში და მუსიკის განვითარებაში. ამიტომ ის უფრო დიდ იმედებს საზოგადოებრივ აღზრდაზე ამყარებდა, რადგან სჯეროდა, რომ მის იდეალურ რესპუბლიკაში ოჯახი გაქრებოდა. არისტოტელს კი სწამდა ოჯახის სიმტკიცე და ამიტომ ბავშვის აღზრდას, როგორც ოჯახს, ისე საზოგადოებრივ დაწესებულებას, ორივეს ერთად არგუნებდა. რომაელების მწერლები ციცერონი და კვინტილიონი დიდ ყურადღებას აქცევდენ განათლებული ადამიანების გამოსვლას, განსაკუთრებით კი ორატორებისას, ამიტომ ისინი აუცილებელ საჭიროებათ სთვლიდენ ოჯახურ აღზრდასთან—საზოგადოებრივსაც. ამასვე მოითხოვდა პლუტარხი თავის ნაწერებში, რომელიც ეკუთვნის რომაელებისავე ეპოქას.

რეფორმატორებმა, ანუ ეგრეთ წოდებულმა ჰუმანისტებმა, მთელი თავისი ყურადღება კლასიკურ ცოდნას მიაქციეს და სრულიად მიუღებელი დარჩათ მხედველობაში ხალხის აღზრდა. მათი სკოლების მიზანი იყო თავისუფალი აზროვნების განვითარება.

რეფორმატორებს წინ აღუდგენ იეზუიტები და მიზნად ყურმოჭრილი ონების აღზრდა დაისახეს, მაგრამ მათ ვერ მიაღწიეს აღზრდის წმინდა იდეალს ისე, როგორც ვერ მიაღწიეს რეფორმატორებმა. ისინი ორივე თავისი აზრების გავრცელებას ესწრაფებოდენ.

მეთვრამეტე საუკუნეში მთელი კაცობრიობის ყურადღება მიიპყრო ჟან—ჟაკ რუსსოს თხზულებამ ერთადერთი ამ საუკუნის გამოჩენილი სოფიზმთაგანი არის ემილ რუსსო, რომელიც იყო უმთავრესი მიზეზი იმ ცრუ აღზრდის მიმართულებისა, როგორიც იყო მაშინ—საფრანგეთში.

უმთავრესი და პირველი ამ თხზულების შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ ემილი ობოლია: ავტორმა მოსწყვიტა ის ოჯახს, მოსწყვიტა საზოგადოებას, სახელმწიფოს და აღმზრდელათ მიუჩინა იდეალური ადამიანი, რომელიც, რაღაც ფანტასტიურ საზოგადოებრივ წრეებს ქმნიდა თავის მოწაფისთვის.

ემილ რუსსო ეს ჩანასახია იმ უნიადაგოტყუილად მყოფელი კოსმოპოლიტების, რომლებშიაც „შინაგანი" ადამიანი მოსპობილია „გარეგანით" და სრულიად დაკარგული აქვს ნაციონალური სახე.

ამავე საუკუნეში პედაგოგიკა მეტათ გამდიდრდა ნაწერებით და მიიღო ოთხი სხვადასხვა მიმართულება. ჰუმანისტები ისევ ისე განაგრძობდენ თავის მიმართულებას და ხელიც შეუწყვეს მეცნიერებისა და ლიტერატურის განვითარებას. მათ შეიმუშავეს კლასიკური სწავლის მეთოდი, მაგრამ სრულიად დაავიწყდათ ადამიანის აღზრდა. ამათ ახლა წინაღუდგენ პიეტისტები და ფილანტროპები, გაჩნდენ ეკლექტიკებიც, მაგრამ არც ერთ მათგანს არ ჰქონია ნიადაგი, რადგან მათი სისტემა იყო ხელოვნური. იმათ ვერ შეიგნეს, რომ აღზრდას თავის თავად უნდა ჰქონდეს დასახული წმინდა მაღალი იდეალი და არ უნდა იყოს იარაღად სხვადასხვა რწმენისა და მიმართულების გასავრცელებლათ და ან ერთი რომელიმე ადამიანის თვისების გასავითარებლათ.

აი, სწორეთ ამ დროს, როდესაც თითოეული მათგანი ერთმანეთს ეჯიბრებოდა თავისი სისტემის გავრცელებაში, შვეიცარიაში გამოჩნდა უბრალო ადამიანი, უსწავლელი ბუნების შვილი, ყველასათვის უცნობი, მაგრამ ჰკუით ძლიერი და მგრძნობიარე გულით.

ის პატარაობიდანვე ადევნებდა თვალყურს აღზრდის საქმეს და ვერ კმაყოფილდებოდა მაშინდელი უბეირო სისტემით. მას სწამდა აღზრდა ოჯახური და კიდევაც მან მიზნათ დაისახა სკოლაში შეეტანა ოჯახური სული. ასზე მეტს ბავშვს მოუყარა თავი. უშოვნა ბინა. უვლიდა, ძალასა და ღონეს არ იზოგავდა მათ საკეთილდღეოთ. მისმა მოღვაწეობამ თვალსაჩინო ნაყოფი მოგვცა. მან დაუახლოვა სკოლა ოჯახს და მიათვისა აღზრდას ბუნებრივი დასაწყისი.

გასული საუკუნის პედაგოგებმა უფრო კარგათ შეიგნეს სკოლისა და ოჯახის ერთად მონაწილეობა აღზრდის საქმეში. ვეიმარმა და სხვა გერმანულმა ქალაქებმა ობლათ დარჩენილი ბავშვები, რომლებიც „პანსიონებში" იმყოფებოდენ, კერძო ოჯახებში ჩამოარიგეს.

ნიმეიერი თავის თხზულებაში ბევრჯერ ამბობს, რომ ოჯახური აღზრდა არის ერთადერთი საუკეთესო ნიადაგი, რომელზეც ადვილად აღმოცენდება ადამიანის ზნეობრივი სახე. ამიტომ, როდესაც ხედავდა დასავლეთ ევროპაში ოჯახური აღზრდის დაცემას, გულის ტკივილით მოუწოდებდა ყველა მშობელს—თვითონვე მიეღო მონაწილეობა თავისი ბავშვების აღზრდაში.

ამასვე მოითხოვდა შვარცი, ეს გამოჩენილი გერმანელი პედაგოგი, და მაღალი ზნეობის განვითარებას ოჯახს ასაკუთრებდა. „ქრისტიანების ოჯახი, ამბობდა შვარცი, საშობლოა ნამდვილი აღზრდის და დიდ უსამართლობად უნდა ჩაითვალოს თუ ეს სამშობლო, ლვიძლი დედა, დედინაცვლათ გადაიქცა". ამიტომ შვარცი თავდაპირველათ აღზრდის საქმეს მარტო ოჯახს ასაკუთრებდა და შემდეგ კი მოითხოვდა, რომ სკოლასა და ოჯახს ერთად ეწიათ აღზრდის მძიმე უღელი.

არც საფრანგეთი ჩამორჩა ამ მხრივ გერმანიას. იქაც გაჩნდენ მწერლები ამ პრინციპის დამცველნი განსაკუთრებით შესანიშნავი პედაგოგიური წერილები ამ საკითხის შესახებ ეკუთვნის ქალებს. მაგალითად, ქალბატონი გიზო თავის წერილებში, სახელდობრ მე 66 წერილში გაკვევით ამბობს ოჯახისა და სკოლის ერთად მონაწილეობას აღზრდის საქმეში შვეიცარიელი ქალი ნეკერ დე სოსსიური ამასვე იმეორებს თავის თხზულების მეორე ტომში. ერთი სიტყვით, თუ თვალს გადავავლებთ გამოჩენილ პედაგოგიურ წერილებს, ყველგან შევხვდებით სკოლისა და ოჯახის ერთად მოქმედებას აღზრდის საქმეში, რასაც სამწუხაროთ ჯერჯერობით ვერ ვხედავთ ჩვენში.

გიორგი ნათაძე.

მუშათა შორის.

მოხდება თუ არა მუშათა ყრილობა?

როგორც მკითხველმა იცის, კომიტეტების დადგენილებით მუშათა ყრილობის გამართვის ნებართვა ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის შუამდგომლობით უნდა მიიღონ. ისიც ვიცით, რომ ცენტრალურმა ბიურომ კარგა ხანია ამ საგანზე თავისი თხოვნა და შუამდგომლობა წარადგინა, სადაც ჯერ არს, მაგრამ დღემდე არც ნებართვა და არც პასუხი არა სჩანს. საქმე კი გადადებას არ ითმენს. ამ შემთხვევაში ისევ მუშებს დასჭირდათ, რომ ინიციატივა აესხათ და საორგანიზაციო ბიურო შექმნან. მათ ამ დღეებში, მართლაც, შექმნეს ასეთი ბიურო და ამ მათმა წარმომადგენელმა ბრძანომ წინადადება შეიტანა ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტში, რომ დასახელებულ მუშათა საორგანიზაციო ბიუროს უფლებმოსილი დახმარება გაეწიოს. ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ კონოვალოვმა მუშებს რჩევა მისცა, რომ რაც შეიძლება დიპლომატიურათ იმოქმედონ, რისთვისაც, მისი აზრით, საჭიროა მთავრობა დაარწმუნონ, რომ მუშათა ყრილობა დღევანდელ მომენტში რუსეთისათვის აუცილებელია და დიდათ სასარგებლოც. ამ მიზნით, მან მუშათა ჯგუფს წინადადება მისცა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრს შტიურმერს დეპუტაცია გაუგზავნონ. მუშათა ბიურო ამ აზრს დასთანხმდა და აარჩია კიდეც დეპუტაცია სამი კაცისაგან: ზურნოვი, კაზაკევიჩი და გვოზდევი ამხანაგ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების მუშათა ჯგუფები დიპლომატობისა და დეპუტაციების გზას აშკარად დაადგნენ და ამით სურთ, რომ მუშათა ყრილობა მოაწყონ.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

იტალიის ასპარეზი.

რომი. 17 მარტი. იტალიის მთავარ ბანაკის ცნობა. ვორმილოს მიდამოებში ჩვენი არტილერიის ცეცხლით გაფანტულ იქნენ მტრის ჯარები, რომელნიც მუშაობდენ ლაგარინის მიდამოებისა გზატკეცილსა და რკინის გზებზე თავდასაცავ სიმაგრეების ასაგებათ. ჩვენმა ჯარმა იერიშები მიიტანა მტერზე და ცოტა ბრძოლის შემდეგ დაიკავეს სოფლები „კრეიკოფელი". დილით ჩვენ მოვიგერიეთ მტრის სასტიკი იერიშები. გორიცის მაღლობებზე ვერმელთანის და მანფალკონის შუა, ჩვენმა ქვეითა ჯარმა მტრებზე იერიში მიიტანა და ხელთ ვიგდეთ რამოდენიმე ტყვე.

სოლუნი. ხდებოდა ორივე მხრიდან სროლა. გერმანელების ჰაეროპლანები ფრენას განაგრძობდენ.

დასავლეთის ასპარეზი

პარიზი. 17 მარტი. საღამოს ცნობა. უაზისა და ენს შუა, ჩვენი არტილერია სროლას განაგრძობდა არგონებში ჩვენ ავაფეთქეთ ნაღმი. ფურდეპარის ჩრდილოეთით ნაღმის აფეთქებისგან მოისპო სადარაჯო რაზმი. ჩვენი მძიმე არტილერიის ძლიერი სროლა მიმართული იყო მალანკურისა და ავაკურის ტყეებისკენ. გერმანელების ცდამ წინ წამოსვლელად უნაყოფოთ ჩაიარა.

ჰავრი. 16 მარტი. ბელგიის ცნობა. ბელგიის ასპარეზზე ხდებოდა უმნიშვნელო შეტაკებები.

რომი 15 მარტი. იტალიის მთავარ ბანაკის ცნობა ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა მოწინააღმდეგე მხარე დიდათ შეავიწროვა. ზემო-იზონცოსთან, გავანადგურეთ მტრის სადარაჯო რაზმები. ბევრ ადგილას მტრის თხრილები გავანადგურეთ. ჩვენი ძლიერი შეტევის გამო, მტერი უკუიქცა. მძაფრი ბრძოლა გძელდებოდა 40 საათის განმავლობაში, განუწყვეტლივ. მტერი დიდის ზარალით უკან იხევდა.

პეტროგრადი. 17 მარტი. მდინარე ოკაზე ყინვა დადნა ნავოსნობა სწარმოებს

ოსმალეთი

ბუქარესტიდან იუწყებიან: დიმსუქსთან მდგომარე ბულგართა ჯარი საჩქაროდ მოხსნეს და ოსმალეთში გაისტუმრეს მხოლოდ იქ ავსტრო-გერმანელთა ჯარები ჩააყენეს.

საფრანგეთის ასპარეზი

ღამემ წყნარად ჩაიარა, გერმანელებს ოკურტირესა მოლეანკურის წინააღმდეგ ბრძოლა არმია განუახლებიათ მოლენკურსთან გერმანელებმა რამდენიმე მაღლობი დაიკავეს-მხოლოდ უმთავრესი სიმაგრეები ისევ ფრანგების ხელშია.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. კინჩხა (სენაკის მაზრა) ს კინჩხა 18 20 ვერსითაა დაშორებული დაბა ხონზე. მუნებას კინჩხა უხვად დაუჯილდოვებია: მთა გორიანი ადგილებით და საამური ჰავით. მკვიდრნი სიმინდის თესვასა და მესაქონლეობას მისდევენ.

კინჩხას საზოგადოების მცხოვრებთა უმეტესობა გლეხობა არის. ეგზოობით მცხოვრებნი დიდ გაჭირვებას განიცდიან ეგრედ წოდებულ ბუმუამგელის ხიდის შემდეგ გზა სრულებით არ ვარგა, გასული წლის წყალდიდობამ, ისედაც უვარგისი გზები იმდენათ გააფუჭა რომ მამოსვლა უიდად შეუძლებელია: მგზავრს დიდი საფრთხილე ჭქმართებს, რომ მდინარე ცხენის წყალში არ ჩავარდეს და მით სამუდამოთ არ გამოესალმოს წუთისოფელს. მიუხედავათ ამისა, გზების უვარგისობაზე უურადღება არავის მიუქცევია.

მარშანდელმა მოუსავლიანობამ აქაური მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში ჩააგდო. საჭიროა დახმარება კინჩხას მკვიდრთა შორის ბევრი აზნაურია, ზოგიერთ მათგანი უთვალავ შრომას გაურბის და სხვისი ოფლით სურს თავის რჩენა. ამ ნიადაგზე ხშირად უსიამოვნება ხდება გლეხებსა და მათ შორის, რაც ხელს უშლის მათ შორის კეთილ განწყობილების ჩამოვარდნას. უსიამოვნების მთავარ მიზეზად თავ. მინგრელსკის მთაა. რომელ მთაშიც გლეხებსაც ედგათ წილი, მაგრამ ამ ვეებატონების მეოხებით ხელცარიელი დარჩნენ და იჯარის გადება უხდებათ საკანე საბალახო მიწები და შეშის გამოტანა

რამდენიმე წლის წინად ხსენებულ მთაზე გლეხობამ საჩივარი აღძრა, მაგრამ თავის უგულობით საქმე წააგეს. საჩივარი გლეხებმა სენატში გაასაჩივრეს, და საქმე ხელმეორე განარჩევად დაუბრუნდა თბილისის პალატას.

ამ დროს გამოთავისუფლებული მოძრაობა დაიწყო, რამაც საქმის მსვლელობას შეაჩერა მოძრაობის დროს ხალხი შეესია მთას და არა ნაკლები ათით ფოტრული სახლის მასალა გამოიტანა თითოეულმა. როდესაც მოძრაობა შესწყდა, ხსენებულ მთის მეპატრონეებმა ხალხს ზარალი გადაახდევინეს. თუ რა ტანჯვა-წვალება და შეურაცხყოფა განიცადა ხალხმა ამ ფულის გადახდის დროს, ამაზე ლაპარაკი მეტია. უოველივე ეს თავის დროზე აღინიშნა. ამის მეთაურთაგანი ერთი დღესაც ცოცხალია, რომელიც ვულოვანდებრივ განაგრძობს ხალხის შევიწროებას და ყველა ის, ვინც მას წინ გადაუდგება, პირად შეურაცხყოფას მიაყენებასაც არ დაერიდება.

მიკვლე.

ღია წერილი

(მ. ფარცხნალელის შეკითხვის გამო)

იმერეთის სამღვდელოების უკანასკნელმა კრებამ თავისი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ზრუნვა და შუამდგომლობა მთავრობის წინაშე მიანდო არა სამ პირს, როგორც თქვენა სწერთ, არამედ 7—8 კაცს მონასტერ: მონასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტის ნესტორის თავმჯდომარეობით, რომელთაგან მარტო ჩვენ ორნი ვართ ქალაქიდან, დანარჩენი ყველანი სოფლელები არიან და სწორედ ამ მიზეზის გამო დაგვიანდა საქმე ჩვენ მხოლოდ გუშინ წინ, 15 მარტს, მივიღეთ ამ საქმის შესახებ ბ. თავჯდომარისაგან მოწერილობა, რომლითაც ის გვიწვევს 21 ამ თვეს კრებაზე დასასწრებლათ ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ შეკითხვა მიმართულია პირდაპირ ჩვენ ორ „მაძღარ" ქალაქის მღვდლებისადმი, ამიტომ ნება გვებოძე ჩვენც შეგეკითხოთ, ბ. ფარცხნალელო, რატომ ჩვენ მოგვმართეთ და არა სხვებსაც, როცა კარგათ უნდა გეოდნოდათ, რომ ჩვენ ხელთ სრულებითაც არ ეყო სამღვდელოების განჩინება, არამედ ჩვენ მხოლოდ მიბმული ვართ სხვებზე? მეორე, რატომ ადრე არაფერდათ, მშიერთა მოსარჩლე და მოამაგე ფარცხნალელო, რომ „მაძღარნი" ვერ შეასრულებდენ „მშიერების" საქმეს და რათ ჩაუგდეთ ხელში ეს ძვირფასი საარსებო საქმე ასეთ გვამებს და არა თქვენებრ „მშიერებს"? მესამე, კომისიაში საქმის გადაცემა, რომ საქმის ნახევრათ დასამარებას მაინც უდრის, რად მაცეთ ნება სამღვდელოებას ასეთი ნაბიჯისა და რად იმ დღესვე არ შეეცადეთ თქვენი სურვილი დაუყონებლივ ფოფილიყო შესრულებული? გვეპასუხეთ ამაზე პირდაპირ და დარწმუნებული ვრჩებით, რომ თქვენზე განმეორდება ისტორია შედრანის ერთი გმირის, რომელმაც თავის თავი თვითონვე გაასწავლა!

დეკ 3 დოლიძე.

მღ. სპირ. ღვევიაშვილი.

ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოების „კოოპერაციის" ანგარიში

კვირას, 20 მარტს, დილის 10 საათზე, ელექტრო-თეატრ „რადიუმში" დანიშნულია ქუთაისის მომხმარებელი საზოგადოების „კოოპერაციის"

წევრთა საზოგადო კრება.

განსახილველია: 1) გამგეობის მოხსენება საზოგადოების მოქმედების შესახებ ანგარიშის განხილვა; 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 3) სავაჭრო პუნქტები ანუ კიოსკები განაპირა უბნებში; 4) 1916 წლის ხარჯთ აღრიცხვა; 5) გამგეობის წევრთა რიცხვის განსაზღვრა და მათი არჩევნები; 6) არჩევნები სარევიზიო კომისიის ერთი წევრისა; 7) განხილვა სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების ...რუქციებისა; 8) მომხმარებელ საზოგადოებათა ამიერ კავკასიის კავშირი; 9) ქუთაისში მეორე მომხმარებელი საზოგადოების დაარსება და მასთან ჩვენი დამოკიდებულება; 10) მიმდინარე საქმეები.

კრებაზე დასწრება არა წევრებსაც შეუძლია.

ამასთანავე საჭიროთ და სასარგებლოთ მიგვაჩნია, რომ საზოგადოებას ნათელი წარმოდგენა ექნეს და საშუალება მიეცეს ჩაუკვირდეს, ასწონ დასწონოს „კოოპერაციის" მოქმედება ნოემბრის 25 რიცხვიდან 1 ამა მარტამდე, აქვე დავბეჭდეთ სრულ ანგარიშებს.

დებეტი.			კრედიტი.		
კასა . .	31256	39	კასა . .	30029	[illegible]
საქონელი . .	18518	20	საქონელი . .	20688	[illegible]
სხვადასხვა პირები .	9458	77	სხვადასხვა პირები .	9891	[illegible]
პაი . . .	30	—	პაი. . .	1191	[illegible]
სავაჭრო ხარჯები .	2489	84	სავაჭრო ხარჯები .	570	[illegible]
ინვენტარი . .	704	57	ინვენტარი . .	23	[illegible]
კიოსკები . .	360	33	საწევრო . .	672	[illegible]
საწევრო . .	250	—			
ჯამი	63068	10	ჯამი	63068	[illegible]

29 თებერვლის 1916 წ. მოგება ზარალის ანგარიში.

აქტივი.			პასივი.		
კასა . .	1227	06	პაი . .	1161	[illegible]
საქონელი	338	10	საწევრო . .	422	[illegible]
ინვენტარი და კიოსკ.	1041	01	სხვადასხვა პირები .	712	[illegible]
სხვადასხვა პირები .	280	10	წმინდა მოგება .	589	[illegible]
ჯამი	2886	29	ჯამი	2886	[illegible]

გამგეობა.

რედაქტორი **ი. ცინცაძე.** გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო"**

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

სააპნის გასაკეთებელი სოდა

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი, ფასები ყველაზე ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სიფილისი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულად წამლობის დროს.

პრეპარატი ექ დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გემსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს

ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის" განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 5 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

9 **პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.** (წლიური)